ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №28
2017 წლის 30 ნოემბერი

ქ. ამბროლაური

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N08 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის №08 დადგენილებით დამტკიცებულ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების“ (www.matsne.gov.ge, 20/11/2017, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.117.016333) შევიდეს ცვლილება:

ა) მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ ქვეპუნქტი.

„კ. პირველადი სტრუქტურული ერთეული შესყიდვების სამსახური.“

ბ) მე-12 მუხლის პირველი პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: მერიის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის კოორდინაციისათვის ხელშეწყობა, მერიის საქმისწარმოების, ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის უზრუნველყოფა, მერის წარმომადგენლებთან კოორდინაცია, მერიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა.“

გ) მე-12 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 9^1 პუნქტი.

„9^1.პირველადი სტრუქტურული ერთეულის – შესყიდვების სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: სამშენებლო პროექტების, სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების შესყიდვა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ვაჩაძე**